

დასასვენებელი და გასართობი პარკების ინდუსტრიის კვლევა

მომზადებულია 2023 წლის მონაცემებზე დაყრდნობით

2025 წელი



შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია



გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - გასართობი და
დასასვენებელი პარკების ზოგადი
მიმოხილვა



გვერდი 8 - ძირითადი მოთამაშეები



გვერდი 9 - ფინანსური
კოეფიციენტები

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება დასასვენებელი და გასართობი პარკების მიმართულებით არსებული ტენდენციების გამოვლენას, მესამე და მეორე ზომითი კატეგორიის კომპანიების 2023 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული კომპანიები ეკუთვნის მესამე და მეორე ზომით კატეგორიას, აქედან ორი კომპანია არის აუდირებული.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2023 წლის მონაცემებს, ყურადღება გამახვილებულია ბაზრის ლიდერ კომპანიებზე, რომელთა რაოდენობაც შეადგენს 4-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია დასასვენებელი და გასართობი პარკების მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი მათ ფინანსურ მონაცემებსა და აქტუალობაზე.



კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს დასასვენებელ და გასართობ პარკებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 22 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 89 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი კომპანიები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დასასვენებელი და გასართობი პარკების ფინანსური მაჩვენებლები შემდეგია: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) -1%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 5%.


გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, ეფექტურობისა და გადახდის უნარიანობის შესახებ.





კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2023 წლის კომპანიების საშუალო მონაცემები. მოცემული ოთხი კომპანიიდან ორი ეკუთვნის მესამე ზომით კატეგორიას, ხოლო დანარჩენი ორი მეორე ზომით კატეგორიას.






დასასვენებელი და გასართობი ინდუსტრიის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ხელოვნების, გართობისა და დასვენების მიმართულებით ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. დეტალური მონაცემები წლების მიხედვით ასეთია:

მილიონი ლარი

ხელოვნება, გართობა და დასვენება - ბრუნვა



წყარო: geostat.ge


როგორც დიაგრამიდან ჩანს, ხელოვნების, გართობისა და დასვენების ინდუსტრიაში, მაქსიმალური ბრუნვა დაფიქსირდა 2024 წელს და შეადგინა 76,141 მილიონი ლარი, რაც 18%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. 2024 წელს 64,350 მილიონი ლარის ბრუნვა დაფიქსირდა.



დასასვენებელი და გასართობი ინდუსტრიის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ხელოვნების გართობისა და დასვენების მიმართულებით გამოშვებულმა პროდუქციამ 2024 წელს 3,487 მილიონი ლარი შეადგინა. დეტალური მონაცემები წლების მიხედვით ასეთია:


მილიონი ლარი



წყარო: Geostat.ge

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, 2024 წელს შეადგინა 20.9 ათასი კაცი. დეტალური მონაცემები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ასეთია:

ათასი, კაცი




წყარო: geostat.ge




ტოპ 3 დასასვენებელი და გასართობი კომპანია შემოსავლების მიხედვით (2023წ)

ათასი, ლარი




დასასვენებელი და გასართობი, ტოპ 3 კომპანია მთლიანი აქტივების მიხედვით (2023წ)

ათასი, ლარი



დასასვენებელი და გასართობი კომპანიები მთლიანი კაპიტალის მიხედვით, ტოპ 3 კომპანია (2023წ)

ათასი, ლარი






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2023 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები


კვლევის შედეგად დადგინდა დასასვენებელი და გასართობი პარკების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 3.39 და 1.29, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

დასასვენებელი და გასართობი პარკების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი 40%, წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) -1%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 5%-ს.

მოგების მარჟის კოეფიციენტები, წარმოადგენს მაჩვენებელს თუ თვითღირებულებასთან შედარებით, რამდენ პროცენტზე მეტად ყიდის კომპანია თავის პროდუქტს/მომსახურებას. დიდწილად სწორედ ეს მაჩვენებელი განაპირობებს ინდუსტრიის მომგებიანობის განსაზღვრას.






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2023წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები


ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. აღნიშნულ შემთხვევაში მაჩვენებელი უტოლდება 0.84-ს, ხოლო ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს -0.55-ს, ეს მაჩვენებელი მიუთითებს თუ რამდენად აღემატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.



ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი უტოლდება 11.91-ს, დასასვენებელი და გასართობი პარკებისთვის, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, შესაბამისად მეტია გაყიდვების რაოდენობა და ნაკლებ დროს ატარებს წარმოებული პროდუქტი, სერვისი საწყობში.

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი უტოლდება 0.36-ს მწარმოებელთათვის, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში.





რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC(ეი ჯი აი სი)-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 60-მდე მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, ბ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

